საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #19

20 ნოემბერი 12.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ჯ.ჯიშკარიანი, მ.ამაშუკელი,
ი. ჯიშკარიანი, ლ. არველაძე, ა.ხუჯაძე,
ქ.ჯოხაძე, ფ. ინჯია,

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა, გარემოს დაცვის, სარევიო, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე, მოადგილე ლევან მიქავა, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ანდრია ბასილაია, მერიის საქალაქო სამსახურების წარმომადგენლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარის მ/შ ლ.დარახველიძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.დარახველიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (#12-0318319154-03 15.11.2018)

მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ პროექტი.

2019 წლის ბიუჯეტის პროექტით ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები დაფინანსებულია 2147,0 ათ.ლარით. მათ შორის:

- ბიზნესის სტიმულირება დაფინანსდება 892.0 ათასი ლარით;

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 2018 წელს ევროკავშირის გრანტის ფარგლებში მცირე და საშუალო ზომის კომპანიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი ბიზნეს აქსელერატორი, რომლის საშუალებითაც ბენეფიციარებისათვის (სავარაუდოდ **120** მეწარმე) შეიქმნება ბიზნეს-გეგმები 8 პრიორიტეტული სფეროს შესაბამისად, საკონსულტაციო ჯგუფებთან და უცხოელ ექსპერტებთან ერთად თემატურ საკითხებზე გაეწევათ კონსულტაციები და ჩაუტარდებათ ტრენინგები - 594000 ლარი; გრანტის ფარგლებში აყვანილი თანამშრომლების ანაზღაურება - 298000 ლარი;

- თბილისის განვითარების კვლევები,სტრატეგიები და პროექტები დაფინანსდება 50.0 ათასი ლარით;

თბილისის საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობების წარმოსაჩენად საინფორმაციო-საინვესტიციო კატალოგების და ტურისტული ბროშურების მომზადება და მათი მიწოდება დაინტერესებულ პირთათვის.

- თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში დაფინანსდება 455.0 ათასი ლარით;

1. ევროპის მთავარ ქალაქთა ქსელის საწევრო -13 600 ლარი;

2. საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა/ორგანიზება - 100 000 ლარი;

- ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება დაფინანსდება 50.0 ათასი ლარით;

ქ. თბილისის შესახებ ვირტუალური რეალობის აპლიკაციისა და 360 გრადუსიანი ხედვის/გამოსახულების მქონე ვიდეო რგოლების შექმნის/ადაპტაციის და Oculus პლატფორმაზე გამოქვეყნებასთან დაკავშირებული მომსახურება.

აზრი გამოთქვეს:

ლ.დარახველიძემ, მ.ამაშუკელმა, ა.ხუჯაძემ

მერიის წარმომადგენლებმა ამომწურავი პასუხი გასცეს ყველა დასმულ შეკითხვას.

კომისიის წევრების რეკომენდაციით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტით ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებები ორიენტირებული უნდა იქნას კვლევებზე, საჭიროა უფრო მეტი თანხები ჩაიდოს ბიზნესის სტიმულირების (გრანტით გათვალისწინებული სახსრების გარდა) და შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერის მიმართულებით;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ქ.თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნას ზემოაღნიშნული პრიორიტეტები..

ლ.დარახველიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარის მ/შ ლ.დარახველიძე